სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080144111128916

 # 2057 **13** / ივლისი / **2016** წ.

ქ ა ლ ა ქ ო ზ უ რ გ ე თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ი ე რ გ ა ნ ხ ო რ ც ი ლ ე ბ უ ლ ი გ ა მ ა რ ტ ი ვ ე ბ უ ლ ი შ ე ს ყ ი დ ვ ი ს ა რ ა მ ა რ თ ლ ზ ო მ ი ე რ ა დ ც ნ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2016 წლის 7 ივლისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის SMP160001902 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

მომართვის მიხედვით, 2016 წლის 29 ივნისს შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, განახორციელა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 155 სოციალურად დაუცველი ადამიანის კვებითი მომსახურებების (CPV-55500000 - სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება) შესყიდვა.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირის უყურადღებობამ. კერძოდ, მას მხედველობიდან გამორჩა, რომ მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველთა კვებითი მომსახურების შესყიდვის თაობაზე გაფორმებული მიმდინარე, 2016 წლის 25 დეკემბრის № 223/2016 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდების ვადა განისაზღვრებოდა 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით და მოცემული მომსახურების შესყიდვაზე ახალი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA160017957 მის მიერ გამოცხადდა დაგვიანებით - 2016 წლის 21 ივნისს. თუმცა მასში მონაწილე პრეტენდენტებს სატენდერო წინადადების ღირებულება რომ არ დაეწიათ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებაში 20%-ზე მეტად, ხელშეკრულება გაფორმდებოდა 2016 წლის 1 ივლისს და მომსახურება გაგრძელდებოდა უწყვეტად. ამასთან აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში, როცა აღნიშნული ტენდერი უნდა გამოცხადებულიყო, მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების განყოფილების უფროსი იმყოფებოდა შვებულებაში ოჯახური პირობების გამო, რაც ასევე დამატებითი ფაქტორი გახდა მუნიციპალიტეტის მხრიდან ტენდერის დაგვიანებით გამოცხადებისა.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, შესყიდვის განუხორციელებლობის შემთხვევაში, გამოუსწორებელი ზიანი მიადგებოდა საზოგადოებრივ ინტერესს, რადგან მოხდებოდა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 155 სოციალურად დაუცველი ადამიანის კვებითი უზრუნველყოფის შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი არ აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო განმარტავს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ არ იქნა მიღებული სათანადო ზომები მოცემული ვითარების თავიდან აცილების მიზნით. კერძოდ, როგორც მომართვიდან ირკვევა, მას მხედველობიდან გამორჩა, რომ მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველთა კვებითი მომსახურების შესყიდვის თაობაზე გაფორმებული მიმდინარე, 2016 წლის 25 დეკემბრის № 223/2016 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდების ვადა განისაზღვრებოდა 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით და მოცემული მომსახურების შესყიდვაზე ახალი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი SPA160017957 მის მიერ გამოცხადდა დაგვიანებით - 2016 წლის 21 ივნისს. შესაბამისად, სისტემის SMP მოდულში გენერირებული კითხვარის მეშვეობით მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოწვეული იქნა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, კვებითი მომსახურებების შესყიდვისათვის აუცილებელი მოქმედებების დაგვიანებით განორციელებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო ვითარებას აფასებს, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით გამოწვეულს და არ ცნობს მართლზომიერად ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვას.

დამატებით აღვნიშნავთ, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების დროულად და კვალიფიციურად დაგეგმვა და შემდგომ მისი წარმართვა, რათა მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა, ვინაიდან სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

ამასთან, დამატებით აღვნიშნავთ, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. არ იქნას მართლზომიერად ცნობილი ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა;

2. დაევალოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის დაწყებული პროცედურების დაუყოვნებლივ შეჩერება და მისი კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა;

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა ნანობაშვილი